საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 7 04/02/2019

იმერეთის რეგიონში დანიშნულების მართვის ორგანიზაციის (DMO) „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის იმერეთის ადგილობრივი ტურიზმის მართვის ორგანიზაციის“ დაფუძნებაში მონაწილეობის მისაღებად და გაწევრიანების თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 21-ე მუხლისა და106[1] მუხლის მე - 2 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს მიიღოს მონაწილეობა იმერეთის რეგიონში დანიშნულების მართვის ორგანიზაციის (DMO) „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის იმერეთის ადგილობრივი ტურიზმის მართვის ორგანიზაციის“ დაფუძნებაში და მასში გაწევრიანების თაობაზე

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 -ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე